საქართველოს მთავრობის განკარგულება

№668 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო ქონების აუქციონის გარეშე, დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის თაობაზე სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, თავის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება: ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. №4-ში მდებარე სასადილოს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.11.05.032.001, შენობა-ნაგებობა №14) მე-2 სართულის 140.8 მ^2, მის ქვეშ არსებული სათავსოების 204.2 მ^2 (საერთო ფართი - 345 მ^2) და სასადილოს ინვენტარი აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადასცეს შპს „ლაგი 2009“-ს (ს/კ: 206340565), ყოველთვიური საიჯარო ქირით - 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარად.

2. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობებით საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება გაავრცელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გამოცხადებულ ელექტრონულ

ტენდერში გამარჯვებული შპს „ლაგი 2009“-ისათვის სახელმწიფო ქონების ფაქტობრივ სარგებლობაში გადაცემის დღიდან სატენდერო ხელშეკრულების ვადით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი